

მალი სააქციო საზოგადოება საპარტნიორო ფონდი უმჯობესება

მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა სააქციო საზოგადოება – საპარტნიორო ფონდის უმჯობესება

სულ ახლახან საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სააქციო საზოგადოება – საპარტნიორო ფონდის შესახებ“, რომლის ავტორი და საკანონმდებლო ინიციატორი საქართველოს მთავრობა გახლდათ. 2011 წლის 15 თებერვალს მთავრობის სხდომის დაწყებამდე პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განსახილველ საკითხთაგან განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ახალი ფონდის ჩამოყალიბების შესახებ კანონპროექტზე გაამახვილა.

„პრეზიდენტმა პარლამენტში თავის გამოსვლაში ახსენა, რომ სახელმწიფო კერძო სექტორთან ძალიან მჭიდრო კოოპერაციაში და პარტნიორობაში რამდენიმე მსხვილი საინვესტიციო პროექტის განხორციელებას შეეცდება. ამ მსხვილ საინვესტიციო პროექტებში ვვლდის ხმობთ ნავთობგადამამუშავებელს, რომელზეც ახლა აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად ვმუშაობთ; სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკურ ცენტრს და კიდევ რამდენიმე მსხვილ პროექტს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის.“

მორე მხრივ, ძალიან მძიმეა იმისათვის, რომ კერძო სექტორმა ინდივიდუალურად სახელმწიფოს გარეშე ამხელა კაპიტალის მოზიდვა და დაბანდება შეძლოს. ჩამოყალიბებით ფონდს, რომელიც საპარტნიორო ფონდი იქნება და ამ ფონდის მეშვეობით კერძო სექტორთან ერთად განახორციელებთ რამდენიმე ისეთ პროექტს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის და ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით...

დღეს განვიხილავთ მთავრობის სხდომაზე და უახლოეს დღეებში უკვე გვექნება ძალიან დეტალური პრეზენტაცია, რომელსაც შევთავაზებთ საზოგადოებას. ამ კანონპროექტის განხილვაში კერძო სექტორსაც ჩავრთავთ. ვფიქრობთ, რომ ამ ფონდს ეყოლება კერძო სექტორისგან ჩამოყალიბებული საინვესტიციო საბჭო, რომელთან ერთად განახორციელებს ამ პროექტებს უახლოეს მომავალში“.

25 თებერვალს კანონპროექტი „საპარტნიორო ფონდის შესახებ“ პარლამენტს წარუდგინა. მარტის დასაწყისში ჯერ შესაბამისმა კომიტეტებმა და შემდეგ პლენარულმა სხდომამ დოკუმენტი პირველი მოსმენით მიიღეს. სერიოზული შენიშვნები და წინადადებები გამოთქვა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა, რომელიც ამ საკითხზე საპარლამენტო კომიტეტებს შორის წამყვანი იყო.

განმარტებითი ბარათის თანახმად, კანონპროექტის მიღების მიზეზია: დაწყებული ეკონომიკური პროექტების დასრულება, ეკონომიკის გაჯანსაღება, სექტორში სადაც

კერძო ინვესტიციები ნაკლებია, ინფრასტრუქტურის შექმნა და ინვესტიციების მოზიდვა; ხოლო მიზანს წარმოადგენს: ინვესტიციების მოზიდვა, საშუალო ადგილების შექმნა, შეფერხებული პროექტების დასრულება და ეკონომიკის განვითარება. კანონპროექტი განსაზღვრავს საპარტნიორო ფონდის დაფინანსების პრინციპებს, იმას, რომ პროექტის დაფინანსება მოხდება კონკურენტული შერჩევის წესით. ფონდში პროექტის განხილვა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ღირებულება სოფლის მეურნეობის სფეროში იქნება მინიმუმ 5 მილიონი ლარი, ხოლო არასასოფლო სამეურნეო სფეროში მინიმუმ 30 მილიონი ლარი. პროექტში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია საინვესტიციო თანხის მინიმუმ 10%-ის ოდენობით. ფონდში არ განიხილება ისეთი პროექტები, რომელიც უშუალოდ შეეხება მომსახურების სფეროს და უძრავ ქონებაში ინვესტირებას.

როგორც მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი აცხადებს, საერთოდ, პარლამენტსა და მთავრობას შორის უკვე პრაქტიკად არის ქცეული, რომ როდესაც დასაბუთებული და საქმიანი შენიშვნებია, მთავრობა ყოველთვის კონსულტაციებს მართავს და ამის შემდეგ კანონპროექტი პარლამენტში უკვე დასრულებული სახით შედის.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის შენიშვნის გათვალისწინებით, კანონპროექტის სახელწოდება „საპარტნიორო ფონდის შესახებ“ შეიცვალა სახელწოდებით კანონპროექტი „სააქციო საზოგადოება – საპარტნიორო ფონდის შესახებ“ და დოკუმენტის ტექსტშიც შესაბამისად ჩასწორდა. გარდა ამისა, ამოღებულია ან ახლით შეიცვალა რამდენიმე პუნქტი, რომელიც კანონპროექტის თავდაპირველ რედაქციაში იყო. კერძოდ, ამოღებულია შემდეგი პუნქტები: „კონკურენტული შერჩევისას გამარჯვებული იქნება ის პირი, რომელიც ფონდისაგან მოითხოვს პროექტის უფრო დაბალ თანადაფინანსებას“, „კერძო სექტორის მიერ პროექტში მონაწილეობა (თანადაფინანსება) არ უნდა იყოს პროექტის საბოლოო ღირებულების 25%-ზე ნაკლები“, „ფონდის დაფინანსების წყარო არ არის სახელმწიფო ბიუჯეტი“. ახალი რედაქციით ფონდი ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე, მაშინ როცა ძველით მთავრობის წინაშე იყო ანგარიშვალდებული.

მოსდება თუ არა ფუნქციების დუბლირება

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თეიმურაზ წურწუმას ინფორმაციით, კომიტეტი და მისი აპარატი ძალიან სერიოზულად მუშაობდნენ ამ დოკუმენტზე იმის

გათვალისწინებით, რომ ეს პრაქტიკულად ნოვაციაა და კანონპროექტში ხარვეზები არ გაპარვოდან. იმ 14 შენიშვნიდან, რომელიც კომიტეტმა დააფიქსირა, მთავრობამ 12 ძირითადად გაითვალისწინა და არ გაითვალისწინა მხოლოდ ორი. კერძოდ, არ არის გაითვალისწინებული შენიშვნა, რომელიც ეხებოდა პარალელს „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ კანონთან და კომიტეტის მიერ გამოთქმულ ეჭვს, რომ ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ფუნქციების დუბლირება მოხდებოდა. აქ მთავრობა განმარტავს, რომ სს საპარტნიორო ფონდის ფუნქციები და ამოცანები სრულიად განსხვავდება საინვესტიციო სააგენტოს ფუნქციებისგან. წურწუშია მთავრობის ამ განმარტებას ნაწილობრივ ეთანხმება.

მთავრობის საპარლამენტო მდივნის ვია ხუროშვილის თქმით, თუკი საინვესტიციო სააგენტო სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ურთიერთობას და მათ საქმიანობას დაარეგულირებს, ეს იქნება პროექტები, რომლებიც ჯერ ერთი ღირებულებასთან არის პირდაპირ დაკავშირებული (საუბარია სოფლის მეურნეობის პროექტებზე, რომლის ღირებულება მინიმუმ იქნება 5 მლნ ლარი და ასევე არასასოფლო-სამეურნეო პროექტებზე, რომლის მინიმალური ღირებულება უნდა იყოს 30 მლნ ლარი) და აქედან გამომდინარე, დუბლირება არ იქნება, რადგან ეს არის მიზანმიმართული და სახელმწიფოს მიერ წინა პლანზე წამოწეულ პრიორიტეტებს შეეხება; ხოლო რაც შეეხება სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დღეს მოქმედ საწარმოებს, ისინი კვლავ მოქმედ რეჟიმში რჩებიან და მათ ფუნქციონირებაზე ზედამხედველობას საწარმოთა მართვის სააგენტო განახორციელებს.

მთავრობამ ასევე არ გაითვალისწინა კომიტეტის შენიშვნა ფონდის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით, რომ ფონდის მთავარი აღმასრულებელი სასურველია არ იყოს პროექტების განხორციელების უშუალო ხელმძღვანელი, რადგან კერძო სექტორის მონაწილეობა პროექტში შეიძლება აღემატებოდეს ფონდის მიერ გაწეულ ხარჯებს და შესაბამისად წილს; ამაზე მთავრობა გამოთქვამს თვალსაზრისს, რომ აღნიშნული დარეგულირდება „მწარმოთა შესახებ“ საქართველოს კანონით.

სააქციო საზოგადოება თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი?

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა აცხადებს, რომ ეკონომიკის განვითარების ფონდის შექმნასთან დაკავშირებით მისი პოზიცია დადებითია. უფრო მეტიც, თვალჭრელიძე-სილაგაძის ხელმძღვანელობით ავტორთა ჯგუფის მიერ მომზადებულ „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამაში“ ერთ-ერთი ქაკუთხედი გახლავთ სწორედ საქართველოში ეკონომიკის განვითარების ფონდის შექმნა, რომელმაც ქვეყნის შიგნით აქტიური საინვესტიციო პოლიტიკა უნდა განახორციელოს. უცნობია, მთავრობა რამდენად ხელმძღვანელობდა თვალჭრელიძე-სილაგაძის პროგრამით,

მაგრამ დროში ყველაფერი ძალიან საინტერესოდ ემთხვევა. ჯერ იყო პროგრამა, რომლის პრეზენტაცია იანვრის ბოლოს შედგა და თებერვლის ბოლოდან უკვე პარლამენტი იხილავს „საპარტნიორო ფონდის შესახებ“ კანონპროექტს.

პაპავას აზრით, ერთი მხრივ, იდეა თავისთავად ძალიან საინტერესოა და ასეთი ფონდის შექმნა საჭირო გახლავთ, მეორე მხრივ კი ამ კანონში საკმაოდაა ხარვეზები.

პირველი და მნიშვნელოვანი არის სწორედ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომლითაც ეს ფონდი უნდა შეიქმნას. ის იქმნება, როგორც სააქციო საზოგადოება, ეს კი ამ ფონდს ნებისმიერ გამჭვირვალობას დაუკარგავს. ეკონომიკის განვითარების ფონდი, რომელიც სილაგაძე-თვალჭრელიძის პროგრამაში დევს, საჯარო სამართლის იურიდიული პირი უნდა იყოს სწორედ იმიტომ, რომ ეს ფონდი უნდა იყოს ყველაზე გამჭვირვალე და თანაც ორიენტირებული არა მოგების მიღებაზე, არამედ ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე. სააქციო საზოგადოება (თუნდაც ღია ტიპის) კი ბიზნეს-სტრუქტურაა და ბიზნეს-სტრუქტურას ყოველთვის უფრო ნაკლები გამჭვირვალობა აქვს, ვიდრე საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია კატეგორიულად ეწინააღმდეგება საპარტნიორო ფონდის სააქციო საზოგადოების სახით კანონით დაფუძნებას. მისი აზრით, ეს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა ძალიან კომფორტულია მაშინ, თუ მთავრობას სურს თავი დააღწიოს ანგარიშვალდებულებებისა და გამჭვირვალობის ვალდებულებებს. საქართველოს პარლამენტმა და საქართველოს მთავრობამ არ გაითვალისწინა ასოციაციის მოწოდება, რომ საპარტნიორო ფონდი სულ მცირე საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დააფუძნონ და ასევე, გაწერონ მკაცრი პროცედურები პროექტების შერჩევისათვის.

ვია ხუროშვილის განმარტებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობა სახელმწიფოს მხრიდან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებას ითვალისწინებს. მაგრამ როდესაც ამ საქმიანობაში ერთ-ერთი პარტნიორი კერძო სამართლის იურიდიული პირია, ასეთ შემთხვევაში სრულიად წარმოუდგენელი იქნება იმ პრინციპების პირდაპირი დაგეგმვა, რაც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს შეეხება. თუმცა მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობა და ის თანხები, რომლებიც ბიუჯეტის მეშვეობით იბრუნებს (იგივე პრივატიზაციის შედეგად მიღებული თანხები), ჩვეულებრივ დაექვემდებარება საჯაროობას, სახელმწიფო ფინანსების კონტროლს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე ნათია თურნავაც მიიჩნევს, რომ ეს ფონდი სააქციო საზოგადოება უნდა იყოს, იქიდან გამომდინარე, რა საქმიანობასაც მერე გასწევს, რადგან მან სხვადასხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა თუ სააქციო საზოგადოებაში თანადამფუძნებლად ანუ პარტნიორად უნდა იმოქმედოს. აქედან გამომდინარე, თვითონაც კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით უნდა იყოს. ეს

უფრო მოქნილი სისტემა იქნება. მაგრამ რაც შეეხება ანგარიშგაღებულებას, შეიძლება ამ ფონდის წესდებაში, ან კანონში რაღაც დამატებითი მექანიზმები ჩაიღოს, იმიტომ რომ ამ ფონდის, როგორც სააქციო საზოგადოების დამფუძნებელი ალბათ მთავრობა იქნება და შეიძლება თვითონ პარტნიორმა, მთავრობამ პერიოდულად გამოითხოვოს ანგარიშები და ისინი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს.

თურნავა იმასაც შენიშნავს, რომ სააქციო საზოგადოება იქნება თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ამით საჯაროობის საკითხი ავტომატურად არ იხსნება. ხოლო თუ შესაბამისი მექანიზმები იარსებებს, საჯაროობა ორივე შემთხვევაში შეიძლება იყოს მიღწეული.

„ჩვენი ეკონომიკა ამ დონის მსხვილ ინვესტიციას ვერ უზრუნველყოფს“

ნათია თურნავას აზრით, კანონიდან ჩანს, რომ აქ საუბარია არა მცირე და საშუალო ბიზნესზე, არამედ მსხვილ ინვესტიციებზე. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მთავრობა მსხვილი ინვესტიციების წახალისებაზეა ორიენტირებული. ერთის მხრივ, რა თქმა უნდა, მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება ყველა ქვეყანაში მიღებულია და მთავრობის მხრიდან უფრო გამართლებული იქნებოდა; თუმცა, ეს გაცილებით უფრო მეტ ადმინისტრაციულ რესურსს საჭიროებს. წარმოიდგინეთ, სად ათას სხვადასხვა მცირე საწარმოს მართვასა და პროექტებში მონაწილეობა და სად რამდენიმე მსხვილ პროექტში! მაგრამ ჯამში შეიძლება მთავრობის ეს გადაწყვეტილება, რომ უფრო მსხვილ პროექტებში მიიღოს მონაწილეობა, ზოგადად ეკონომიკას უფრო სწრაფად მისცემს შედეგს იმ მხრივ, რომ საგადასხდელი ბალანსს გააუმჯობესებს; ანუ ინვესტიცია ინვესტიციაა, შეიძლება ერთ საწარმოში იყოს ჩადებული და შეიძლება ათასში, საგადასხდელი ბალანსისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. ის ქვეყანაში შემოსული ფულია, რომელიც ეკონომიკაში მუშაობს. დასაქმების თვალსაზრისითაც შეიძლება იმ ათას წვრილ ობიექტში უფრო ნაკლები ადამიანი იყოს დასაქმებული, ვიდრე ერთ ან ორ მსხვილ ობიექტში. ასე რომ, როგორც ჩანს, მთავრობა ცოტა მასშტაბურად უყურებს ამ საკითხს.

იქნებ მთავრობა გათვალას უცხოელ ინვესტორებზე უფრო მეტად აკეთებს, ვიდრე ადგილობრივებზე? ნათია თურნავას აზრით, 10-15-20 ან 25 მლნ-ის ინვესტიციას შეიძლება ადგილობრივი რესურსიც გაწვდეს. 50 მლნ-ის ზევით ინვესტიციას კი ადგილობრივი ვერც ერთი ბანკი და ვერც ერთი ინვესტორი ვერ უზრუნველყოფს, საერთაშორისო დაფინანსების მოზიდვის გარეშე. საქართველო მცირე ქვეყანაა, მცირე ეკონომიკა აქვს. მის საფინანსო სისტემას აქვს თავისი მასშტაბები, შეზღუდულია ამ ფიზიკური ფარგლით და ჩვენი ბაზრის სიდიდით და შესაბამისად, ყველაფერი, რაც 30-50 მლნ-ის ზევით იქნება, შეიძლება პირდაპირ თუ ირიბად უფრო უცხოეთიდან იქნება შემოსული. უბრალოდ, ჩვენი ეკონომიკა ამ დონის მსხვილ ინვესტიციას ვერ უზრუნველყოფს.

რა საჭიროა მთავრობის თანამონაწილეობა

საპარტნიორო ფონდის შესახებ კანონის მიღებას ექსპერტი ალექსანდრე თვალჭრელიძეც მიესალმება, რადგან მიაჩნია, რომ ეკონომიკას ხელშეწყობა სჭირდება, თუმცა მას სახელმწიფო ხელშეწყობა სულ სხვანაირად წარმოუდგენია, კერძოდ: პირველი, აუცილებლად უნდა მომხდარიყო პრიორიტეტული დარგების დადგენა; მეორე, სახელმწიფოს პროექტებში თანამონაწილეობა კი არ უნდა მიეღო, არამედ კრედიტები უნდა გაეცა იაფი ფულის სახით 4%-იანი წლიური განაკვეთით 15 წლის ვადით; მესამე, თვითონ მართვის სისტემა ამ ფონდისა არ არის კარგად შემუშავებული, იმიტომ რომ პრინციპში სახელმწიფო მართავს და არა მარეგულირებელი კომისია. საპარტნიორო ფონდი უნდა ყოფილიყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მაგრამ ამავე დროს მარეგულირებელი კომისიის მსგავსად მოწყობილი (როგორც სემეკია და ა.შ.). აი, ეს არის პრინციპული განსხვავება მთავრობისა და თვალჭრელიძე-სილაგაძის მიდგომებს შორის.

ხუროშვილის აზრით, რა თქმა უნდა, ექსპერტმა ნებისმიერი თეორიული პოზიცია შეიძლება წამოაყენოს; მაგრამ მეორეა პრაგმატული გადაწყვეტილება, რომლის უკან დგას კონკრეტული ეკონომიკური გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში სახელმწიფო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ დარგის განვითარების პოლიტიკა სახელმწიფოს მონიტორინგის ქვეშ უნდა იყოს და ასეთ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფო ჩადებს ფულს, შესაბამისად ამ წილობრივი მონაწილეობით სწორედ ამ ფონდის მეშვეობით იქნება განხორციელებული მისი მიზნობრივი ხარჯვა.

ხუროშვილისავე განმარტებით, რაც შეეხება იმას, რომ კანონში პრიორიტეტები არ არის განსაზღვრული, პრიორიტეტები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმაში; პრიორიტეტები აქვს ყველა კონკრეტულ უწყებას და აქედან გამომდინარე, ეს ფონდი გადაწყვეტილებებს სწორედ იმ პრიორიტეტების ადეკვატურად მიიღებს, რაც მთავრობის დღევანდელ პრიორიტეტებს წარმოადგენს. არის თუ არა ამ ფონდის მიზანი მოგება? არ არის. მართალია, ბიზნესის საქმიანობა გარკვეული მოგების მიღებას ითვალისწინებს, მაგრამ ეს მოგება ფონდის რეფინანსირებისათვის იქნება მიმართული, რაც ნიშნავს, რომ ფონდში აკუმულირებული თანხები კიდევ უფრო მეტი სხვა პროექტების დაფინანსებას მოხმარდება; მაგრამ მას შემდეგ, როდესაც სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შემდგარი ბიზნესი დამოუკიდებლად ფუნქციონირებს დადგომას შეძლებს, დამოუკიდებელ მართვას შეძლებს მისი კერძო პარტნიორი, სახელმწიფოს საბოლოო მიზანი არის, რომ ეს ბიზნესი დატოვოს, ანუ კერძო ბიზნესიდან გამოვიდეს და ასპარეზო მთლიანად ამ კერძო სუბიექტს დაუთმოს. კონკრეტული ბიზნესის დათმობისას, რა თქმა უნდა, წილის უპირატესი შესყიდვის უფლება ექნება იმ პარტნიორს, რომელიც ამ კონკრეტული პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას იღებს.

ნათია თურნავას აზრით, საქართველოში კერძო ინვესტორების პასიურობაა და შეიძლება ითქვას, რომ ეს

არის 2008 წლის აგვისტოსა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდგომი რეაქცია, როცა კერძო ინვესტიციები არის, მაგრამ ჯერჯერობით არა იმდენი და იმ დონით, რა დონითაც ჩვენს ეკონომიკას სჭირდება. აქედან გამომდინარე, ასეთ დროს, როგორც წესი, მთავრობა კერძო ინვესტიციას ნაწილობრივ სახელმწიფო ინვესტიციებით ანაცვლებს. ანუ იმ ადგილს, რომელიც ნორმალურ ვითარებაში კერძო ინვესტორმა უნდა დაიკავოს, რაღაცა პერიოდისთვის იკავებს მთავრობა სახელმწიფო თანხებით. რა თქმა უნდა, კარგია, რომ ეს არ ხდება მთელს ეკონომიკაში და განურჩევლად ყველა დარგში, რადგან თუკი ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა შენდება, ნებისმიერი მთავრობის ამოცანაა, რომ კერძო სექტორი კი არ ჩაანაცვლოს, არამედ პირიქით, კერძო ინვესტიცია წახალისოს. კანონის შინაარსიდან გამომდინარე, ეს არის მიზნობრივი, დროში შეზღუდული ინექცია პირველ რიგში სოფლის მეურნეობასა და რაღაცა სხვა დარგებში. შეიძლება პროექტები იმდენად დიდ ინვესტიციას საჭიროებდეს და აქედან გამომდინარე, საკმაოდ სარისკო იყოს, რომ ეს რისკი მარტო ერთმა ან ორმა კერძო ინვესტორმა არ აიღოს თავის თავზე; ან იგივე სახსრების სიმწირესაც უჩიოდეს. ამ კანონპროექტის მეშვეობით მთავრობა ინვესტორებს სთავაზობს, რომ პროექტი პარტნიორულად, ერთობლივად განხორციელდეს. ნებისმიერ პროექტში მთავრობის ნებისმიერი დოზით მონაწილეობა ამ პროექტის განხორციელების რისკს მკვეთრად ამცირებს. რისკი რას ნიშნავს? ნიშნავს იმას, რომ ინვესტორი დაგეგმილ ინვესტიციას ვერ ამოიღებს დაგეგმილ პერიოდში. როცა მთავრობა მონაწილეობს, ეს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში აღიქმება როგორც დამატებითი მყარი გარანტია. ასე რომ, ეს ყველაზე მყარი გარანტიაა, რომ ინვესტორის უფლებები დაცული იქნება, პროექტი განხორციელდება და ის მიზნები, რაც კერძო ინვესტორის წინაშე დგას, შესრულდება. ის შეიძლება თავისი უკუგების მიღებას და მოზიდული თანხების დაბრუნებას. მოზიდული თანხები შეიძლება იყოს მისი პირადი, შეიძლება იყოს ნასესხები (მით უფრო სარისკოა მისთვის). თუ მთავრობა მონაწილეობს, რა თქმა უნდა, რისკი მცირდება.

ფინანსდამფინანსება კანონთან „საბიუჯეტო კოდექსის“ შესახებ

როგორც ნათია თურნავა აცხადებს, პრივატიზებიდან შემოსული თანხები ამ ფონდში რომ ჩაიდება, მას ყველაზე მეტად ეს მოსწონს, რადგან მისი აზრით, საერთოდ პრივატიზებიდან, ანუ რაღაც აქტივების ან ბიზნესების გასხვისებიდან შემოსული თანხა უნდა ხმარდებოდეს არა მიმდინარე ხარჯებს (დაფუძვალ, ხელფასებს და ა.შ.), არამედ ინვესტიციებს და მათ ხელშეწყობას. ამ თვალსაზრისით, სამართლიანია, რომ ის, რაც მიღებულია ეკონომიკური ობიექტების ან აქტივების გასხვისებით, ამ ფორმით ისევე ეკონომიკაში ჩაბრუნდეს.

რაც შეეხება ფონდის სახსრებს და დაფინანსების წყაროებს, ლადო პაპავას შეფასებით აქ საერთოდ აბსოლუტური გაუგებრობაა, რადგანაც ეს ქვეყნის

საბიუჯეტო მოწყობის სისტემას პრაქტიკულად ანგრევს. მაშინ საბიუჯეტო მოწყობის კანონმდებლობა უნდა გადაიხედოს. იმიტომ რომ სწორედ ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის წყარო არის როგორც პრივატიზაციიდან ამოღებული თანხები, ასევე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიების დივიდენდები, ანუ დღეს ისინი საბიუჯეტო კანონმდებლობიდან აუცილებლად უნდა ამოიღონ და მაშინ გაუგებარია, რის ხარჯზე დააფინანსებს მთავრობა მის ხარჯებს; ანუ მთავრობას ბიუჯეტის სერიოზული შეცვლა დასჭირდება. იქნებ, ეს თანხები ისე გადანაწილდება, რომ ნაწილი ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვას მოხმარდეს და ნაწილი ფონდს? ამ კითხვაზე პასუხიც აქ საერთოდ არ არის. დღეს ყველა ეს შემოსულობები არის ბიუჯეტის. უფრო მეტიც, პაპავას მიაჩნია, რომ საერთოდ თვითონ ეს საპარტნიორო ფონდი ბიუჯეტის ნაწილი უნდა ყოფილიყო. მაშინ საბიუჯეტო კანონმდებლობის შეცვლა არ დაგვიჭირდებოდა, რადგან მაშინ ფონდის შევსებისათვის სწორედ ეს პრივატიზებიდან ამოღებული თანხები და დივიდენდები იქნებოდა გათვალისწინებული. კანონპროექტით კი ეს შექმნილია როგორც სააქციო საზოგადოება; ანუ ის ბიუჯეტთან კავშირში არ არის და ბიუჯეტიდან იღებს თანხებს ისე, რომ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, რატომ აღარ არის ეს თანხები ბიუჯეტისა.

აცხადებენ, რომ ფონდის მიზანი არ არის მოგების მიღება. მაგრამ კანონპროექტში წერია, რომ ფონდს უფლება აქვს მოზიდული სახსრების შედეგად განხორციელებული პროექტების ხარჯზე მიღებული მოგება ფონდის მიზნებს მოახმაროს. ეს კი ნიშნავს, რომ ფონდი მოგებაზე მუშაობს და ის არ არის არამომგებიანი ორგანიზაცია. სააქციო საზოგადოება არამომგებიანი ვერ იქნება.

პაპავას აზრით, აქვე ტექნიკური შეცდომაა გაპარული, რომ წერია, ფონდის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული სესხი და გრანტები (სახელმწიფო გრანტების გარეშე). მაგრამ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული სესხები არის ბიუჯეტის დეფიციტისათვის; ხოლო თუ ეს არის რაღაც კონკრეტული პროგრამების განხორციელება, ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები მოითხოვენ, რომ ეს იყოს ბიუჯეტის ნაწილი; ანუ ეს ეწინააღმდეგება თვითონ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პრინციპებს. მაგალითად, მსოფლიო ბანკის ფულს ამ ფონდში ვერ ჩადებ, თუ ეს ფონდი არ იქნება ბიუჯეტის ნაწილი; ხოლო თუ ეს ფონდი იქნება ბიუჯეტის ნაწილი, მაშინ ის ვეღარ იქნება სააქციო საზოგადოება. აი, ასეთი შეცდომებია აქ გაპარული.

და მეორე, არასაბიუჯეტო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი და ეს საბჭო შედგება საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებისგან. ეს კი ნიშნავს, რომ თურმე მთავრობას ექნება ორი ბიუჯეტი: ერთი ბიუჯეტი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტია და მეორე ბიუჯეტი ფონდის სახით. ეს არის შეცდომა. ამიტომ ეს ფონდი უნდა იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი; ფონდი უნდა იყოს ბიუჯეტის შემადგენლობაში;

მაშინ ფონდის შევსების წყარო თავისუფლად იქნება როგორც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიების დივიდენდები, ასევე პრივატიზაციიდან ამოღებული თანხები. მაშინ აღარც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული სესხები დადგება კითხვის ქვეშ, უნდა იყოს თუ არა ამ ფონდის შემადგენლობაში.

ნათია თურნავას აზრით, საპარტნიორო ფონდის საქმიანობას დადებითი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს პირველ რიგში ისეთ შემთხვევაში, თუკი მთავრობის მონაწილეობა დროში შეზღუდული იქნება. ზუსტად უნდა იყოს გაწერილი ასეთი ახალშექმნილი საწარმოებიდან მთავრობის გასვლის დრო და სტრატეგია, ანუ: როდის მთავრდება მთავრობის მონაწილეობა; როდის იქნება მთავრობა მზად, რომ გაასხვისოს ის თავისი წილი, რომელსაც თავისი ინვესტიციით ქმნის; რა წესებით გაასხვისებს; ექნება თუ არა მის კერძო პარტნიორს უპირატესი გამოსყიდვის უფლება და ასე შემდეგ. თუკი ეს დეტალები ზუსტად იქნება გაწერილი, მაშინ ასეთ დროებით ზომას შეიძლება ეკონომიკაზე პოზიტიური ზეგავლენა ჰქონდეს.

ასე რომ, თურნავა იდეას მიესალმება, მაგრამ მოითხოვს მეტ დეტალურობას, რაც, მისი აზრით, არ არის აუცილებელი, რომ შიგ კანონში იდოს, მაგრამ კანონქვემდებარე აქტის დონეზე მაინც უნდა იყოს გაწერილი, სადაც იქნება: ა) მთავრობის მონაწილეობის ვადა; ბ) მთავრობის გასვლის სტრატეგია; და გ) ანგარიშგების ფორმები. რადგან ის გადასახადის გადამხდელების, ანუ საზოგადოების თანხებით არის შექმნილი, გარკვეულწილად საზოგადოების წინაშეც

უნდა იყოს ანგარიშვალდებული. თუმცა, ველოსიპედის გამოგონებას ეს არ საჭიროებს – ღია ტიპის სააქციო საზოგადოება ამას ყველაფერს პასუხობს. თურნავა იმასაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზოგადად მთავრობის ბიზნესში ჩარევისა და მონაწილეობისა მომხრე იგი არაა, თუმცა არსებობს რაღაცა გარემოებები, როცა დროებით, წინასწარ განსაზღვრული ვადით და ფორმით შეიძლება ეს დასაშვები იყოს, ამასთან იმ დათქმით, რომ ყველას ზუსტად ეცოდინება: როდის გადის მთავრობა ამ ბიზნესიდან, რა პირობით გადის ბიზნესიდან და სანამ გავა, ვის წინაშეა ანგარიშვალდებული.

ლადო პაპავას თქმით, კანონპროექტში სამართლიანად წერია, რომ ნებისმიერი პროექტის დაფინანსება მხოლოდ კონკურენტული შერჩევის გზით უნდა მოხდეს, თუმცა აქ იგი იზიარებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გამოთქმულ შენიშვნას, რომ ეს კონკურენტული შერჩევის წესი აუცილებლად კანონშივე უნდა იყოს საკმაოდ მკაფიოდ გაწერილი, რომ ყველა სუბიექტმა იცოდეს, რათა შემდეგ გაუგებრობა არ შეიქმნას და კანონს მიღმა სამთავრობო გადაწყვეტილებები არ იყოს მიღებული. ცხადია, არის გარკვეული დეტალები, რომელსაც კანონში ვერ ასახავ, მაგრამ ეს სწორედ ის დეტალებია, რომელსაც თუ არ ასახავ, ყოველთვის იარსებებს ეჭვი, რომ შეიძლება აქ რაღაცა კორუფციული მექანიზმებია გათვალისწინებული. ამიტომ კონკურენტული შერჩევის წესი კანონში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი.

დალი ჩიკვაძე

„საქართველოს ბანკმა“ და „Diners Club International“-მა შეთანხმება გააფორმეს

„საქართველოს ბანკმა“ და საბანკო გადახდების მომსახურების კომპანია „Diners Club International“-მა ხელი მოაწერეს შეთანხმებას სავაჭრო ობიექტებსა და ბანკომატით განხორციელებული ტრანზაქციების მომსახურებასთან დაკავშირებით.

„საქართველოს ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა განაცხადა, რომ შეთანხმების თანახმად, „საქართველოს ბანკი“ ექსკლუზიურად ჩართავს ადგილობრივ სავაჭრო ობიექტებს „Diners Club International“-ის ქსელში და ასევე ექსკლუზიურად მოემსახურება საქართველოში „Diners Club International“-ისა და „Discover“-ის ბარათებს ბანკომატებში.

„პარტნიორობა „საქართველოს ბანკსა“ და „Diners Club International“-ს შორის გააფართოებს „Diners Club International“-ის და „Discover“-ის ბარათების გამოყენების არეალს და ბარათის მფლობელებს საშუალებას მისცემს გამოიყენონ მათი ბარათები საქართველოში. რაც შეეხება ადგილობრივ სავაჭრო ობიექტებს, ხსენებული ბარათების მიღება საშუალებას მისცემს მათ ეზიარონ ახალ შესაძლებლობებს“, - განაცხადა ირაკლი გილაურმა.

ბარათის მფლობელებს ექნებათ შესაძლებლობა გამოიყენონ ბარათები „საქართველოს ბანკის“ ყველა ბანკომატში.

მარტში ინფლაცია კიდევ გაიზარდა

მარტში წლიურმა ინფლაციამ 13,9% შეადგინა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 12-თვიან პერიოდში აღნიშნული მაჩვენებლის ფორმირებაში ძირითადი გავლენა იქონია ფასების მატებამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე. ერთი წლის განმავლობაში სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე ფასები გაიზარდა 28,8%-ით, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის საერთო მაჩვენებელში შეადგინა 11,9%.

აღნიშნულ პერიოდში ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ხილისა და ყურძნის ქვეჯგუფზე (65,5%-ით), ბოსტნეულსა და ბალჩეულზე (41,1%-ით), ზეთსა და ცხიმზე (36,5%-ით).

საქსტატის მონაცემებით, ერთი წლის განმავლობაში პურსა და პურპროდუქტებზე ფასები 25%-ით გაიზარდა, ხოლო ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე – 21,8%-ით. 2010 წლის მარტიდან 2011 წლის მარტის ჩათვლით, ქვეყანაში ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე ფასები გაიზარდა 9,6%-ით.